ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3929427

ნომერი: AR1590355

თარიღი : 02.04.2018

გაცემის თარიღი : 25.04.2018

გაცნობის თარიღი : 26.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , N78;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ თათეშვილი პ/ნ 01024007991
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 65, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 2 აპრილს №AR1590355 განცხადება, რომლითაც ითხოვთ 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი N78, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.12.01.004.024), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 09.01.2017 წ-დან 09.04.2017 წ-ის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ჩანაცვლება და ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების შესწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
სამსახურის მიერ განმცხადებლის მოთხოვნისა და საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არ იყო დაფიქსირებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები. აღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები დაფიქსირებულია 2018 წლის 2 აპრილის №AR1590355 განცხადებაზე ატვირთულ გეგმებზე, ასევე შეცვლილია ბინების და კომერციული ფართობების ნუმერაცია.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც და შესაბამისი მონაცემების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახვა ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს, აღნიშნული საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი 2017 წლის 9 იანვრის №3035374 ბრძანებაში.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის